ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №7030966

ნომერი: AR11035624

თარიღი : 17.05.2024

გაცემის თარიღი : 31.05.2024

გაცნობის თარიღი : 31.05.2024

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ბარბარე ბაირამაშვილის ქუჩა, N 29;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი გეგელაშვილი პ/ნ 59001036692
- ზ.მუზაშვილის ქუჩა N5

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება
- IV კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)

ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 27/01/2021 წლის № 5263498 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ– ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 17/05/2024 წლის AR11035624 განცხადებით მომართა მოქალაქე გიორგი გეგელაშვილმა და მოითხოვა სამსახურის 27/01/2021 წლის № 5263498 ბრძანებით დამტკიცებული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა, საპროექტო ობიექტთან დაკავშირებით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად, სამსახურმა შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 25/09/2020 წლის №01.012026926 ბრძანების გათვალისწინებით ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ– ქ.

თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექურის სამსახურის 27/01/2021 წლის № 5263498 ბრძანებით, ქალაქთბილისში, სოფ გლდანი , "ავშნიანი" , ნაკვეთი 06/542 ; ქალაქი თბილისი , სოფ. გლდანი "ავშნიანი" (ნაკვეთი 6/74) მიმდებარედ, (ს/კ : 01.11.17.023.215, ფართობი: 2580.0 კვ.მ.) მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობის (საცხოვრებელი (60%-ზე ნაკლები), ოფისი 40%) აშენების მიზნით, დამტკიცდა მიწისნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის 28/03/2024 წლის №01. 01240881 ბრძანებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 25 სექტემბრის N№01.012026926 ბრძანებაში შევიდა ცვლილება და პირველი პუნქტი დაფიქსირდა შემდეგი რედაქციით: „ქალაქ თბილისში, ბარბარე ბაირამაშვილის ქუჩა N29-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.11.17.023.215) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის (90%) განთავსების მიზნით, გაიცეს სპეციალური (ზონალური) შეთანხმება“.

წინამდებარე განაცხადით მოთხოვნილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის 28/03/2024 წლის №01. 01240881 ბრძანების საფუძველზე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ– ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 27/01/2021 წლის № 5263498 ბრძანებით დამტკიცებული სამშენებლოდ მიწისნაკვეთის გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა და მრავალფუნქციური შენობის ნაცვლად მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის (90% საცხოვრებელი და 10% კომერციული/საოფისე ფუნქცია) დაფიქსირება.

„მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილების თანახმად, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტშიცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვსმის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

სამსახურს, მიზანშეწონილად მიაჩნია, შეიტანოს ცვლილება 27/01/2021 წლის № 5263498 ბრძანებით დამტკიცებული სამშენებლოდ მიწისნაკვეთის გამოყენების პირობებში საკადასტრო მონაცემებთან დაკავშირებით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის№255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის 28/03/2024 წლის №01. 01240881 ბრძანების გათვალისწინებით

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 27/01/2021 წლის № 5263498 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში და მრავალფუნქციური შენობის ნაცვლად დაფიქსირდეს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი (90%).

- პროექტის შეთანხმების სტადიაზე გათვალისწინებული იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის 28/03/2024 წლის №01. 01240881 „გ“ ქვეპუნქტის 1^1, 1^2 და 1^3 პუნქტები, განაშენიანების რეგულირების წესებით დადგენილი მაკომპენსირებელი ღონისძიების თაობაზე.
- მშენებლობის ნებართვის გაცემის სტადიაზე, უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრის ამონაწერში დაფიქსირდეს ვალდებულება: შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების შემდგომ პერიოდში შენობა-ნაგებობაში არსებული ფართის დანიშნულების უცვლელად შენარჩუნების პირობით.

2. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 27/01/2021 წლის № 5263498 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებთან ერთად.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

-

დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიისცხ ელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ.#7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე #4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.